თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2779145

ნომერი: AR1429756

თარიღი : 05.08.2016

გაცემის თარიღი : 16.08.2016

გაცნობის თარიღი : 16.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოჭორმის , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზაზა ბასილაძე პ/ნ 41001006464
- ბულაჩაურის ქუჩა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ –ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ბოჭორმის ქუჩა #14-ში, შ.პ.ს „დევილაქი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #042/009), არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს „დევილაქი“-ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – რეგ. N 882016014100 15/01/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.17.13.042.009; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, ბოჭორმის ქუჩა #14-ში, შ.პ.ს „დევილაქი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #042/009), არსებული შენობის ფასადზე I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.